

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY



KA020179937766215

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ნინოშვილი ქუჩა N23, ტელ.:+995 422 27 49 25/26
23 Ninoshvili Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 03-01/2256

24 / აგვისტო / 2015 წ.

IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

2015 წლის # OPD08/15-040 წერილის პასუხად, პუნქტობრივად იხილეთ თქვენს მიერ
მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია:

1. 2015 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით)
დარიცხული პრემიის ოდენობა თვეების მიხედვით- იხილეთ დანართი # 1
2. 2015 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით)
დარიცხული დარიცხული სახელფასე დანამატის ოდენობა თვეების მიხედვით- იხილეთ
დანართი # 2

3. 2015 წელს თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ
სამართლებრივი აქტებიდან წარმოგიდგენთ მხოლოდ დირექტორის მოადგილის სახელფასე
დანამატის შესახებ ბრძანებას (დანართი # 3), რადგან სხვა დანარჩენ შემთხვევაში, ირღვევა
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პერსონალური მონაცემების
დაცვის პუნქტი, ვინაიდან ბრძანებების დანართში, საჯარო მოხელეებთან ერთად
მოხსენიებულია სააგენტოს ის თანამშრომლები, რომლებიც არ არიან საჯარო მოხელის
სტატუსის მატარებლები. ხოლო საჯარო მოხელეთა პრემიებისა და დანამატების შესახებ
ჯამური ინფორმაცია, რაც თქვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს, უკვე მითითებულია
დანართი # 1-ში.

4. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ 2015 წლის განმავლობაში წარმომადგენლობითი
ხარჯი გასწია შემდეგ ღონისძიებაზე:

2015 წლის 31 იანვრიდან 09 თებერვლის ჩათვლით ქ. ბათუმში სსიპ საზღვაო ტრანსპორტის

დანიშნ #3



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA020177453235315

ქ. ბათუმი

№ კ-01/64

27 / მარტი / 2015 წ.

ივანე აბაშიძისათვის სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის დაკისრების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და „სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს-ს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 01 თებერვლის №007 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-13¹ მუხლის შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

- 1.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს - იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს ივანე აბაშიძეს (სააგენტოს დირექტორის მოადგილის თამარ იოსელიანის არყოფნის დროს) 2015 წლის 30 მარტიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, დაეკისროს სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შესრულება.
- 2.დაევალოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის - ფინანსებისა და შესყიდვების სამმართველოს დანამატის გაცემის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. 30) მისი ოფიციალურად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: თამარ იოსელიანის მოხსენებითი ბარათი (№ 567, 19.03.2015წ).

დირექტორი

ქ. აბაშიძე

მამუკა ახალაძე